გამარჯვება ბოლო მატჩში

თეირანი, 9 დეკემბერი. ირანის დედაქალქის სტადიონმა "ამჯადიუმ" "მსურველთა მესამედიც კი ვერ დააკმაყოფილა, ისე დიდი იყო ინტერესი თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა ბოლო, მესამე მატჩის ნახვისა. ქართველი სპორტსმენების მეტოქედ ქვეყნის ნაკრები მოგვევლინა.

მატჩი დინამოელთა შეტევებით დაიწყო. უკვე მე–16 წუთზე ი. დათუნაშვილის მიწოდებიდან კ. ასათიანმა მეტოქეთა კარის ბადეში გაახვია ბურთი იგი ერთადერთი გამოდგა შეხვედრაში.

თბილისელებმა ორი წინა შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

დღეს ისინი სამშობლოში გაემგზავრებიან.

”ლელო” 10 იანვარი 1967 წ.